სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

01 მაისი 2026

N 290/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კვარხეთის ტერიტორიაზე წელიწადში 250 000 m^3 მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა კოდექსის II დანართის 2.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება, როდესაც მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა წელიწადში 100 000 m^3-ზე მეტია) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია გორის მუნიციპალიტეტში, მეჯვრისხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ კვარხეთში, ზღვის დონიდან დაახლოებით 697 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და ერთ ჭაბურღილს მოიცავს (GPS კოორდინატები: X-433796.664 Y-4656829.505; ფართობი 0,07 ჰა). აღნიშნული ჭაბურღილიდან, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გათვალისწინებულია წელიწადში 250 000 m^3 მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება, ხოლო ლიცენზიის გაცემის ვადად 25 წელია განსაზღვრული.

მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, სალიცენზიო ობიექტი დასახლებული ტერიტორიების სიახლოვეს არ მდებარეობს და უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან 1 კილომეტრზე მეტი მანძილით არის დაშორებული.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ჰიდროგეოლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, სალიცენზიო ობიექტი ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების ქართლის არტეზიულ აუზს მიეკუთვნება. წყალშემცველი ჰორიზონტი წარმოდგენილია შუა და ზედა მეოთხეულის ალუვიურ-პროლუვიური ნალექების გრუნტის და წნევიანი წყლების წყალშემცველი კომპლექსით, რომელსაც ფართო გავრცელება აქვს. მუხრან-ტირიფონის დეპრესიის ფარგლებში, წყალშემცველი ჰორიზონტი აგებულია სუსტად შეცემენტებული, ქვარგვალებიანი კონგლომერატებით, თიხების შუაშრეებით, ლინზებით და თიხებით. კონგლომერატის ცემენტი ძირითადად ქვიშიანი და წყალშეღწევადია, ხოლო ნალექების სიმძლავრე 120 მეტრს აღემატება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მორფოლოგიური თვალსაზრისით, სალიცენზიო ობიექტი ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, მდინარე დიდი კირბალულას მარჯვენა მხარეს მდებარეობს. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულით, საპროექტო ტერიტორია I (მარტივი) სირთულის კატეგორიას მიეკუთვნება. სალიცენზიო ობიექტის და მისი მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ჭაბურღილის ექსპლუატაციის ეტაპზე გართულებები მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმე 80 მეტრს შეადგენს, ხოლო მისი ზუსტი დებიტი უცნობია. სალიცენზიო ობიექტის საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და P

(პროგნოზული) კატეგორიით არის წარმოდგენილი. თუმცა, ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, ჭაბურღილიდან წელიწადში 250 000 $м^3$ მიწისქვეშა მტკნარი წყლის მიღება შესაძლებელია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ჰორიზონტის წყლები ქიმიური შედგენილობის დიდი ცვალებადობით ხასიათდება. ძირითადად გვხვდება ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიანი, ან ჰიდროკარბონატულ-სულფატური, ხშირად, შერეული კათიონური შედგენილობის ტიპის წყლები, რომელთა საერთო მინერალიზაცია 1 გ/ლ-მდეა, ხოლო ტემპერატურა 10-13^{0}C-ის ფარგლებში მერყეობს. ჰორიზონტის მიწისქვეშა წყლების სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენება შესაძლებელია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სალიცენზიო ობიექტი არსებულია და იგი მხოლოდ თავმორთულობის მოწყობას, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას და შემოღობვას საჭიროებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებთან და ახალი ტერიტორიების ათვისებასთან დაკავშირებული არ იქნება, რაც გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედებას გამოიწვევდა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების პროცესში ნარჩენების წარმოქმნა, გარემოს დაბინძურება და ხმაური, ასევე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ხოლო ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღით (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომლებსაც ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო ადგენს, დაგეგმილი საქმიანობა წყლის გარემოს დაბინძურებას არ გამოიწვევს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ კვარხეთის ტერიტორიაზე წელიწადში 250 000 $м^3$ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება **არ დაექვემდებაროს გზშ-ს**.
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/290-21-4-202605011654

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE